https://doi.org/10.52340/PUTK.2023.27.35

სოფრომ მგალობლიშვილი აკაკი წერეთლის შესახებ

SOPROM MGALOBLİSHVİLİ ABOUT AKAKİ TSERETELİ

მაგდა ჭიქაბერიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

Magda Chikaberidze
Georgian Technical University
Tbilisi, Georgia

ABSTRACT

When appraising Soprom Mgaloblishvili's literary contributions, his commendable role as a memoirist stands out prominently. He commenced writing and disseminating memoirs during the 1900s. In 1910, the initial five chapters of his memoirs found publication in the 'Eri' magazine, with subsequent installments appearing in the 'Temi' newspaper. Following Soprom Mgaloblishvili's demise, literary scholar Levan Asatiani diligently assembled and published nearly all of the author's memoirs in a single volume.

Soprom Mgaloblishvili crafted remarkable memoirs depicting Georgian writers and public figures. His intimate familiarity and both personal and professional connections with most of these individuals uniquely positioned him to share insights that remain unparalleled among other memoirists. Notably, his recollections of Akaki Tsereteli are particularly noteworthy. He dedicated two memories to the poet: 'Akaki Is With Us' and 'Akaki', both of which were published in the 'Theatre and Life' magazine (N5, N7) around the time of the poet's passing.

The memoirist especially mentions Akaki's quality as a genuine poet, highlighting his love of travel and his desire to be close to people. He compares the nature of Ilia and Akaki, noting that Akaki's extensive travels contribute to his deep understanding of people. In contrast, Ilia remains more confined to his study, known personally only to the city's nobility.

Soprom Mgaloblishvili's two memoirs, 'Akaki Is With Us' and 'Akaki' were composed with profound affection and reverence for Akaki Tsereteli. Within these memoirs, a captivating portrayal of the poet emerges, continuing to intrigue readers to this day.

საკვანძო სიტყვები: ქართული მემუარული მწერლობა, აკაკი წერეთელი, სოფრომ მგალობლიშვილი.
Keywords: Georgian memoir literature, Akaki Tsereteli, Soprom Mgaloblishvili.

სოფრომ მგალობლიშვილის მწერლური ღვაწლის შეფასებისას საგანგებო აღნიშვნის ღირსია მისი, როგორც მემუარისტის, დამსახურება. ის მოგონებებს 1900-იანი წლებიდან წერდა და აქვეყნებდა. პირველად 1910 წელს ჟურნალ „ერში“ (რედაქტორი პ. სურგულაძე) მისი მოგონებების ხუთი თავი განთავსდა, ხოლო შემდეგი თავები გაზეთ „თემში“ (რედაქტორი გ. დიასამიძე) დაიბეჭდა. მოგვიანებით, სოფრომ მგალობლიშვილის გარდაცვალების შემდეგ, 1938 წელს, ლიტერატურის მკვლევარმა ლევან ასათიანმა თავი მოუყარა და ერთ წიგნად გამოსცა მწერლის მემუარული ხასიათის თითქმის ყველა ნაწარმოები.

სოფრომ მგალობლიშვილზე, როგორც მემუარისტზე, დიდი გავლენა მოახდინა აკაკი წერეთლის შედევრმა „ჩემმა თავგადასავალმა“. სწორედ მისი შთაგონებით შეუდგა მწერალი მოგონებების წერას. იგი ამბობს: „არც ერთმა ჩვენმა დიდებულმა მწერალთაგანმა არ დაგვიტოვა თვისი განვლილის ცხოვრების მოგონებანი. დღიურის წერა ხომ წესად არა გვაქვს. ერთადერთმა აკაკიმ გაიხსენა თვისი წარსული და მშვენიერად, აკაკურად გადმოგვცა მოგონებანი თავისი დიდებული ცხოვრებისა. ყველა კაცის ცხოვრებაში, რასაკვირველია, და განსაკუთრებით იმ კაცისა, რომელიც შემდეგ, ასე თუ ისე, გამხდარა საზოგადო მოღვაწე თუ მწერალი, ბევრი რამ საგულისხმო და საყურადღებო მოხდებოდა. „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისაო“, ნათქვამია. ყოველი საზოგადო მოღვაწე თუ ლიტერატორი რომ გაგვაცნობდეს თავისს წარსულს ცხოვრებას, ნანახს და გაგონილს, ჩემის აზრით, ეს დიდი განძი იქნება ჩვენის აწმყოსა და მომავლისათვის“.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, სოფრომ მგალობლიშვილმა დაწერა შესანიშნავი მოგონებები ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების შესახებ. უმეტეს მათგანს ავტორი ახლოს იცნობდა, მათთან პირადი და სამსახურებრივი ურთიერთობა აკავშირებდა. სოფრომ მგალობლიშვილი მათ შესახებ ბევრ ისეთ შემთხვევას, დეტალს გვაცნობს, როგორსაც სხვა მემუარისტებთან ვერ შევხვდებით. ასეთია მისი მოგონებები აკაკი წერეთლის შესახებ. მას ორი მოგონება ეძღვნება: „ჩვენთან არს აკაკი“ და „აკაკი“. ისინი პოეტის გარდაცვალების დღეებში გამოქვეყნდა ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ (№5, №7). მათში აკაკის სიკვდილით გამოწვეული უდიდესი გულისტკივილია გამოხატული.

სოფრომ მგალობლიშვილი იხსენებს აკაკის პირველი ხილვის შთაბეჭდილებას, სემინარიელ მეგობარს, იოსებ ბაქრაძეს, დაუნახვებია დიდი პოეტი ქაშვეთის გვერდით მდებარე ბაღში. მემუარისტი გააოცა აკაკის წარმოსადეგმა გარეგნობამ: ხუჭუჭი თმა ჩეჩქივით ადგა თავზე და შემოსჯაროდა ფართო და ნათელ შუბლსო.

აკაკი წერეთლის გარეგნობის აღწერისას მემუარისტი იაკობ მანსვეტაშვილი ასევე ყურადღებას ამახვილებს პოეტის ხვეულ თმასა და ტანადობაზე: „დღესაც თვალწინ მიდგას ახოვანი, ტანოვანი, გულმკერდიანი, ხუჭუჭა-თმიანი აკაკი, დიდრონი, ცეცხლისმფრქვეველი თვალებით და განუშორებელი ღიმილით ტუჩებზე (მანსვეტაშვილი 1985: 146).

სოფრომ მგალობლიშვილმა აკაკი მეორედ „დროების“ რედაქციაში ნახა, სადაც სემინარიელმა სოფრომმა დასაბეჭდად წერილი მიიტანა. იგი ძალიან ღელავდა, დაბნეული იყო. იგი აკაკიმ სკამზე დასვა, რედაქტორმა სერგეი მესხმა კი მას სტატიის დაბეჭდვა აღუთქვა.

მემუარისტი საგანგებოდ აღნიშნავს აკაკის, როგორც ჭეშმარიტი პოეტის, თვისებას: მოგზაურობის სიყვარულს, ხალხთან სიახლოვის სურვილს. „იგი ყოველ წლივ ეწვეოდა ხოლმე ხან ერთს კუთხეს საქართველოსას, ხან მეორეს, ხან მესამეს, პირადად ეცნობოდა თავის ერს, ცხოველი სიტყვა გაჰქონდა ხალხში და ჭირვარამს უქარვებდა და სწმენდდა გულიდან“ (მგალობლიშვილი 1938: 155). სოფრომ მგალობლიშვილის აზრით, ხალხთან ხშირი სტუმრობით აკაკიმ ბევრი გააკეთა. ის ერთგან ერთმანეთს ადარებს ილიასა და აკაკის ბუნებას. მას მოსწონს, რომ აკაკი ხალხს კარგად იცნობს, რადგან ბევრს მოგზაურობს. ილია კი მაინც კაბინეტის კაცია, მას პირადად მხოლოდ ქალაქის ინტელიგენცია, თავადაზნაურობა იცნობს, რომელიც ბანკის სხდომებზე იკრიბება. დიდ ადამიანთა გასვლას ხალხში სოფრომ მგალობლიშვილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

იმავეს ადასტურებს მემუარისტი იაკობ მანსვეტაშვილი, რომელიც ილიას „ივერიის“ მუდმივი თანამშრომელი იყო და ორივე მოღვაწეს კარგად იცნობდა. მისი თქმით, ილია ჭავჭავაძეს „შინ ჯდომა უყვარდა, დარბაზობა, ეგრეთ წოდებულ ვიზიტებზე სიარული სძულდა. შინ კი ბლომად მოსდიოდნენ ნაცნობნი, თავისი თუ ცოლისა, მაგრამ მათი დახვედრა, მათი მიღება ევალათ მის მეუღლესა და მის დას, რომელიც მასთან ცხოვრობდა“ (მანსვეტაშვილი 1985: 120). „რამდენად ილიას შინ ჯდომა, კარჩაკეტილობა უყვარდა, იმდანად აკაკი გარეთ ყოფნას, ხალხში გარევას რჩეობდა. ვისაც ილიას ნახვა უნდოდა, ან მასთან სახლში უნდა მისულიყო, ან ბანკში. მე პირადად ქუჩაში სასეირნოდ გამოსული ილია არ მინახავს. აკაკის ყველგან და ყოველ ჟამს ნახავდი. ილია თუ გულდახურული იყო, მიუკარებელი, ძნელად თუ ვისმე თავისთან მიიახლოვებდა, აკაკი, პირიქით, გულგახსნილი იყო, ყველას ადვილად გულს გაუშლიდა, მიიახლოვებდა. ვერ ვიტყვი, რომ პირველს ეს სიამაყით მოსდიოდა და მეორეს თავმდაბლობით. არა, ბუნება ჰქონდათ ასეთი. იქნება ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ილიას მდაბიო ხალხში ისე არ ჰქონდა სიყვარული მოპოვებული, როგორც აკაკის“ (იქვე: 146-147).

სოფრომ მგალობლიშვილის გადმოცემით, აკაკი ერთ-ერთი პირველია, ვინც ჩვენში საჯარო ლექციების კითხვა დაიწყო. ის იხსენებს ერთ შემთხვევას, როდესაც გორელმა ახალგაზრდებმა ნიკო დიასამიძეს (საზოგადო მოღვაწე, მეცენატი, ქართული თეატრის მოამაგე), დაავალეს, რომ აკაკი გორში ლექციების წასაკითხად მოეწვია. ლექცია გორის კლუბის დიდ დარბაზში უნდა ჩატარებულიყო. დაიდგა პატარა სცენა, მაგრამ კლუბის მორიგე მამასახლის ტერ-მინასოვის გამო ლექცია კინაღამ ჩაიშალა, თუმცა ყველაფერი დროზე გაირკვა. ნიკო დიასამიძემ ტერ-მინასოვი და მისი ძმა კლუბიდან გააძევა. ლექციამ დიდი წარმატებით ჩაიარა. ყველამ, მათ შორის აკაკიმაც, გაიგო მომხდარი. ნიკო დიასამიძის მამაცობის ამბავი განხილვის თემად იქცა.

აქ მემუარისტი საჭიროდ მიიჩნევს, აღნიშნოს ერთობ საინტერესო ფაქტი; იმ სომეხთა შთამომავლები, რომლებიც გორში ჯერ კიდევ მე-11 საუკუნეში ჩამოსახლდნენ, არსებითად ქართველთაგან არ ირჩეოდნენ. შეთვისებული ჰქონდათ ქართული ბუნება, ჭირსა და ლხინში

ქართველებთან ერთად იყვნენ; ქველმოქმედებასაც ეწეოდნენ, ისინიც ხელს უმართავდნენ ქართულ წამოწყებებს (აღალო თუთაევი, ქველმოქმედი და გორში სცენისმოყვარეთა წამოწყების ხელისშემწყობი, კმარა ამის მაგალითად). მხოლოდ მე-19 საუკუნეში სომეხ გენერალ ვასილ ბებუთოვის მიერ ქართლში გადმოსახლებული ჩარჩი სომხები შოვინისტობდნენ. „ხსენებული ტერ-მინასოვის მამა ასეთი სომეხი იყო“ (მგალობლიშვილი 1938: 182).

სოფრომ მგალობლიშვილი აღნიშნავს, რომ აკაკის ახალგაზრდებზე დიდი გავლენა ჰქონდა. როცა პოეტი გორში იყო, იქაური ახალგაზრდობა ხშირად დადიოდა მასთან. გორში მას ხვდებოდნენ ვაჟა-ფშაველა და მისი ძმა ბაჩანა, ალექსანდრე ნათაძე, თეოფილე ხუსკივაძე და სხვები.

მემუარისტი აკაკის წერის ერთ თავისებურებას აღნიშნავს. პოეტს უბით მუდამ დაჰქონდა რვეული, რომელშიც იდო ძაფზე მობმული ფანქარი. პოეტი ღამით უცებ აანთებდა სანთელს და რვეულში ლექსს ან ხალხურ ამბავს ჩაწერდა. ერთ დილას აკაკიმ სოფრომ მგალობლიშვილს ლექსი „არწივი“ ჩააწერინა.

როცა აკაკის რაიმე აზრი დაებადებოდა, სახე გაუბრწყინდებოდა, მაშინ იგი გაბრუებული იყო, ოცნებებში გართული. ერთხელ შთაგონებულ რკინიგზის ლიანდაგზე მიმავალ აკაკის მატარებელი წამოეწია. სოფრომ მგალობლიშვილმა სწრაფად გადაიყვანა ლიანდაგიდან. აკაკიმ უსაყვედურა, რატომ მეძიძგილავებიო. როდესაც სოფრომმა აღუწერა საფრთხე, მხოლოდ მაშინ გამოერკვა. პოეტი ხშირად იხსენებდა ამ ამბავს და ემადლიერებოდა გადამრჩენელს.

სოფრომ მგალობლიშვილი აკაკისთან ერთად ხშირად ხვდებოდა დიდი მოღვაწეების წრეში. ის იხსენებს, თუ როგორ ისტუმრა სურამში მყოფმა იაკობ გოგებაშვილმა ის, აკაკი წერეთელი, არისტო ქუთათელაძე და ივანე მაჩაბელი, როგორ გაუმასპინძლდა მათ მშვენიერ ჭალაში, როგორ მოილხინეს, იმღერეს. სიმღერას იაკობ გოგებაშვილი იწყებდა, სხვები მოძახილსა და ბანს ეუბნებოდნენ; ღვინისაგან ცოტა შეხურებულნი, სამშობლოს დახსნას წინასწარმეტყველებდნენ რუსეთის მონარქიის ბრჭყალებისგან.

ყოფითი დეტალების გადმოცემის თვალსაზრისით მემუარისტი საინტერესოდ გვიყვება აკაკის ფეხსაცმელების (წაღების) ამბავს. პოეტი ერთხელ გორში დიდხანს შემორჩა და წაღები შემოაცვდა. ფულიც არ ჰქონდა, რომ ახალი შეეძინა. მეგობრებმა დაითანხმეს და მისთვის საგანგებოდ შეაკერინეს ახალი ფეხსაცმელები. პოეტს ისინი ვიწრო მოუვიდა, მაგრამ არ შეიმჩნია და ჩაიცვა. ასე გაისტუმრეს აკაკი გორიდან. როცა მეორედ ჩამოვიდა, სოფრომმა სიხარულით მიიღო საპატიო სტუმარი და თავიდან ბოლომდე შეათვალიერა. აკაკიმ უთხრა: „ფეხზე ნუ მიცქერი, ახალი წაღები მაცვია, თქვენმა ვიწრო წაღებმა ისე გამაფრთხილეს, გორს რომ მოვდივარ, უწინ წაღებს ვიშინჯავ, დახეული არ იყოს და გორელებმა კვლავ ვიწრო წაღით ფეხები არ დამიკოჟიჟონო“ (მგალობლიშვილი 1938: 182).

ცნობილია, რომ აკაკის, როგორც პოეტური ბუნების ხელოვანს, მოსწრებული სიტყვა ახასიათებდა. სოფრომ მგალობლიშვილის მოგონებებშიც ამის არაერთი ნიმუში გვხვდება; მაგალითად, აკაკის გორში

სტუმრობას სუფრა მოჰყვებოდა ხოლმე. ერთ-ერთი ასეთი სუფრის დროს შეზარხოშებული მოქეიფეები მღეროდნენ: „ყანწით ვსვამ ღვინოს, შენს სადღეგრძელოს და გაუმარჯოს ჩვენს საქართველოს“, ზედ აყოლებდნენ: „მიმინო მყავდა, მიყვარდა“. აკაკის ხმაურიანი ღრეობა არ უყვარდა და ბოლოს გულშეღონებულმა თქვა: „ღვინოს რომ სვამთ ყანწით, კი ვხედავ, მაგრამ უმიმინობას გამჩნევთო, მიმინო რომ გყავდეთ, ამდენი მწყერი არ გეყოლებოდათო“.

იმავე შემთხვევას დაწვრილებით გვიამბობს იაკობ მანსვეტაშვილი: „ერთ დიდ სადილზე ყოფილან აკაკი და ანდრია ღულაძე, მასწავლებელი და საყმაწვილო ჟურნალ „ნობათის“ რედაქტორ-გამომცემელი. ანდრიას კარგად გადაეკრა ღვინო. სმაში ცოტა ჭკუას ჰკარგავდა და აჩემებული სიმღერა უყვარდა. დაიწყებდა ერთ რამე სიმღერას და გაჰკიოდა მაღალი მყვირალა ხმით. ასე ამ სადილზედაც გააბა თურმე გაუთავებელი:

მიმინო მყვანდა, მიმინო მყვანდა,
მიმინო მყვანდა, მყვანდა – მიყვარდა!

ყველას თავი მოაბეზრა. მაშინ აკაკი მიუბრუნდა თურმე და უთხრა:

– ნუ სცრუობ, ანდრია, დაჩუმდი! აბა რასა სტყუი: მიმინო რომ გყვანდეს, მწყრებს მანდ რა დააყენებდაო? – შუბლზე მიადო თურმე ხელი (მანსვეტაშვილი 1985: 150-151).

დასკვნის სახით: სოფრომ მგალობლიშვილის ორივე მოგონება („ჩვენთან არს აკაკი!“, „აკაკი“) დაწერილია აკაკი წერეთლის დიდი სიყვარულითა და პატივისცემით. მათში იხატება დიდი პოეტის საინტერესო სახე. მოგონებები შეიცავს მდიდარ ფაქტობრივ მასალას და ახლაც დიდი ინტერესით იკითხება.

დამოწმებული ლიტერატურა

მანსვეტაშვილი 1985: მანსვეტაშვილი ი., მოგონებები. თბილისი, 1985.
მგალობლიშვილი 1938: მგალობლიშვილი ს., მოგონებანი. ტფილისი, 1938.
ჭიქაბერიძე 1010: ჭიქაბერიძე მ., XIX საუკუნის ქართველ მწერალთა მემუარული მემკვიდრეობა. თბილისი, 2020.